



საქართველო

რეპუბლიკა

ფასი 3 მან.

პარასკევი, 23 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოაგება, სოციალ-დემოკრატიული რუსეთი
(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა ვაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის.
გაზეთის ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. გან-
ცხადების ფასი პირველ გვ. მეტირის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან.
მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 140 მ.
1 იანვ. გაზეთი წისილად არაფასი გავიგზავნება. რედაქციის კანტონის
მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

ამა წლის აპრილის 30-ს დანიშნულია
**ახალციხის მაზრის ეროვნული ხმოსანთა
მეორე ყრილობა**

ასარჩევია წ. უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, სავალო და
დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.
მსურველთ შუქლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ეროვნული გამგეობის
სახელზე. 751 7-1

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს
აქცადებს, რომ 27 აპრილს, დილის 12 საათზე, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს შენო-
ბაში (რუსთაველის ქუჩა № 43) დანიშნულია შეჯიბრება მცხეთა-ყაზბეგის შორის ფოსტის
სა და მგზავრების გადაზიდვის იჯარით გასაცემად საფოსტო სადგურების განახლებით.
მიმოსვლა უნდა სწარმოებდეს ცხენებით, რომლებიც დასასვენებლად გამოიყვლება ყოველ
სადგურზე.
კონტრაგენტს დაეთმობა შესაფერ ფასებში სახაზინო შენობები თავლებით და სავ-
ყობებით. ამლებთან უნდა ექნეს შეჯიბრების დროს გიროო (მესამედი ნაწილი განცხა-
დებულ ქირისა) ფულად ან უძრავი ქონების კანონიერ საბუთებით.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება დასახელებულ სამმართველოს „საფოსტო
განყოფილებაში“ 452 1-1

**გაიცემა იჯარით საფუოგაბისთვის
ათას საშენზე მუხი ადგილი**

დიდი მთავრის ქ. № 24,
სადაც იყო შუშის და ხის მასალის საწოები.
პირობების შეტყობა შეიძლება 9-3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროში
ქარვასლის და ელექტრონის კანტონში, დამფუძნებელ კრების ქ. № 5 (ყოფილი
445 თავდაზნაურობისა).

**საქართველოს
საზღვაოსა და საზოგადოების
გამგებობა**

ამით აცხადებს, რომ ამა 1920 წლის 15 მაისს, საღამოს 7 საათზედ,
გამგეობის ბინაზედ (რესპუბლიკის, ყოფილი პეტრე დიდის ქუჩა, № 8)
დანიშნულია
ახალიწარმო განსაჯარეული საზოგადო კრება,
რომელსაც წარედგინება განსახილველად შემდეგი საკნები:
1) მოკლე ფინანსური ანგარიში; 2) სესხის აღება; 3) აქციების ფასის მესამე ხვედრის შემოტანა
და 4) მიმდინარე საკითხები.
453 2-1 გ ა მ გ ე ბ ა .

**სააფთიქო საქონლით მოვაჭრა
პეიერ-კავკასიის საზოგადოება**

იუწყება, რომ ამა წლის აპრილიდან
სსრის გათოფი საბითოფო (ОПТОВЫЙ) საფუოგს და კანტორას
შედიკაქმენტების პირველი ტრანსპორტა უკვე
მიღებულა საუკეთესო ფაბრიკებიდან.
შეკვეთა დროებით შეიძლება შემდეგი მისამართით: ბათომი, სავალო შესახვევი,
746 № 6. ტფილისი, განოვის ქ., № 7. 3-1

ოფიციალური განყოფილება
კანონი
შრომის სამინისტროს შტატისა და
ხარჯთ-ალრიცხვის დამტკიცებისა.
1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემ-
ბრის 1-დან შრომის სამინისტროს შტატი და
ხარჯთ-ალრიცხვა თანახმად ამ კანონთან
დართული ნუსხისა (დამატ. № 1 და 2).
2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროე-
ბისათვის ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზი-
ნიდან 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920
წლის ივნისის 1-დე რვაას სამოცდა ორი
ათას ხუთას ორმოცდა ათი (862,550) მან-
ეთი.
3. ამ კანონში აღნიშნულ შტატზე არ
გრცელდება დამფუძნებელი კრების 1919 წ.
მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს და დეკემბრის 2-ს
დეკრეტების მოქმედება.
4. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე
გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების
ამა 1920 წ. თებერვლის 10-ს დეკრეტით
დაწესებული მომეტება ჯამაგირისა.
1920 წ. მარტის 30-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე ვახ. ვაჟაშვილი.

დამატება № 1.
შ ს ა ტ ი
შრომის სამინისტროსი 1919 წ. ნოემბრის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დე.

№.წ. რიგზე	თანამდებობის სახელწოდება.	მოსამ. რაოდ.	ჯამაგირი თვე- ში.		ჯამაგირი 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 1920 წლ. ივნისის 1-დე.	
			ერთს.	ყველას.	ერთს.	ყველას.
ტფილისის შრომის კომისარიატი.						
1	სამინისტროს საქმეთა მმართველი	1	5000	5000	35000	35000
2	უფროსი ინსტრუქტორი	1	4500	4500	31500	31500
3	მდივანი	1	4000	4000	28000	28000
4	განყოფილების გამგე	3	4000	12000	28000	84000
5	სტატისტიკოსი	1	1800	1800	12500	12500
6	საქმის მწარმოებელი	1	2000	2000	14000	14000
7	მოანგარიშე	1	2500	2500	17500	17500
8	ხაზინადარი ეგზეკუტორი	1	1700	1700	11900	11900
9	კანცელარიის მოხელე	4	1300	5200	9100	36400
10	მანქანით გადამწერი	3	1300	3900	9100	27300
11	შიკრიკი	3	1225	3675	8575	25725
ს უ ლ		20	29325	46275	205275	323925
ქუთაისის შრომის კომისარიატი.						
12	შრომის კომისარი	1	4500	4500	31500	31500
13	მისი თანაშემწე	1	3000	3000	21000	21000
14	საქმის მწარმოებელი	1	2000	2000	14000	14000
15	მანქანით გადამწერი	1	1300	1300	9100	9100
16	შიკრიკი	1	1225	1225	8575	8575
ს უ ლ		5	12025	12025	84175	84175
სოხუმის შრომის კომისარიატი.						
17	შრომის კომისარი	1	3500	3500	24500	24500
18	საქმის მწარმოებელი	1	2000	2000	14000	14000
19	მანქანით გადამწერი	1	1300	1300	9100	9100
20	შიკრიკი	1	1225	1215	8575	8575
ს უ ლ		4	8025	8025	56175	56175
1920 წ. მარტის 30-ს.						
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვახ. ვაჟაშვილი.						

დამატება № 2.
ხარჯთ-ალრიცხვა
შრომის სამინისტროსი 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე.

№.წ. რიგზე	ს ა გ ა ნ ი ხ ა რ ჯ ი ს ა	ერთ თვეში	შვიდ თვეში	შენიშვნა:
2	ცენტრალ. დაწესებულების შტატის შენახვა	46275	323925	ლებს მომარაგების სა-
3	საკანცელარიო და სამუშაო ხარჯი	7000	49000	მინისტროდან.
4	ბინის ქირა (1919 წლის ნოემბრის და დე- კემბრის)	2000	4000	
5	სავალო და დღიური	10000	70000	
6	ძველი ავეჯეულობის შეკეთება და ახლის შეძენა	—	24500	ერთდროულად.
7	მოულოდნელი ხარჯები, მუშების დახმარება, ტენიკური და მედიკური ექსპერტიზებისა- თვის; ქალაქის შრომის ბირვის დახმარება	10000	70000	
ს უ ლ		82275	570425	
8	ადგილობრივ დაწესებულებათა შტატების შე- ნახვა	28075	196525	
9	მათი საკანცელარიო და სამუშაო ხარჯი	1200	8400	
10	ბინების დაქირავება, გათბობა და განათება	600	4200	
11	სავალო და დღიური	4000	28000	
12	10 რწმუნებულის საკანცელარიო და სავალო ხარჯი	5000	35000	
ს უ ლ		121150	862550	

1920 წ. მარტის 30-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვახ. ვაჟაშვილი.

კანონი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილება, სავეტერინარო პერსონალისა და შრატის დამზადებელი სადგურის შტაბისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების, სავეტერინარო პერსონალისა და შრატის დამზადებელი სადგურის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ კანონთან დართული ნუსხის თანახმად.

2. ამ კანონის პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის 1919 წლის ნოემბრის 1-

დან 1920 წლის ივნისის 1-დგ ხუთი მილიონი ცხრაას ოცი ათას სამას ოთხმოცდა ხუთი (5,920,385) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე არ ვრცელდება 1918 წლის ნოემბრის 10 მთავრობის დადგენილებით სავეტერინარო პერსონალისათვის დაწესებული ათ მანეთიანი დღიური მომატება და დამფუძნებელ კრების 1919 წლის მაისის 20, აგვისტოს ორს და დეკემბრის ორს დეკრეტების მოქმედება.

4. ამ კანონის პირველ (1) მუხლში აღნიშნულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელ კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10, დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

1920 წ. აპრილის 6-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

ექვ. თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების, სავეტერინარო პერსონალისა და შრატის დამზადებელი სადგურისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დგ.

Table with 5 columns: No., Description, Personnel, Expenses, Total. It is divided into four sections: I. Veterinary-sanitary department, II. Veterinary personnel, III. Slaughterhouse, and IV. Slaughterhouse staff and expenses.

არა ოფიციალური განყოფილება

შინ. საქმეთა სამინისტროში რესპუბლიკის მცხოვრებთა რეგისტრაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს და ამ დღეებში წარადგენს მთავრობაში რეგისტრაციის და საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა აღნუსხვის კანონპროექტს.

მაშულის იძულებით ჩამორთმევა.

ტფილისის სამხარეო ერობის გამგეობამ შეამდგომლა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მთავრობის მიერ დადასტურებულ იქნას აღთქმის თემის დადგენილება საავადმყოფოს საჭიროებისათვის ტერ-გრიგორიანის სახლის იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა მარტის ერობის გამგეობას, რომ დადგენილება 11 ივლისის კანონის ძალით უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ უნდა გამოიტანოს ხმოსნების სამხარეო ყრილობამ, რადგან მთავრობას სადაოთ მიაჩნია საკითხი: აქვს თუ არა უფლება წვიროდ საეროებო ერთეულებს ისარგებლონ 11 ივლისის კანონით, სანამ ამ საკითხის შესახებ სენატი არ გამოიტანს თავის დასკვნას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თემების დადგენილებას უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ მთავრობას არ წარუდგენს განსახილველად.

ექიმის ვაგზავნა არტანში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვაგზავნილ იქნა არტანის ოლქში ექიმი ჯაფარიძე ეპიდემიისთან საბრძოლველად და წინადადება მიეცა ოლქის მოხელეთ აღმოუჩინონ მას დახმარება ეპიდემიისთან ბრძოლის დროს.

ლტოლველი.

ჩრდილოეთ კავკასიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ჩრდილო კავკასიის ლტოლვილი უკვე ვემგზავრა მცხეთიდან. ამ უამარ მცხეთაში იმყოფება მხოლოდ რამოდენიმე კაცი, რომელნიც ამ დღეებში ვაგზავნილიან.

შუამდგომლობა.

ყუბანის მთავრობის წარმომადგენელმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ფოთში ჩამოდიან ორთქლმავლებით ყუბანის ლტოლვილები, რომელთაც თან მოაქვთ სურსათი და სხვა და სხვა საქონელი ყუბანის მთავრობის. ამის გამო მას ვაგზავნიან ფოთში თავის აგენტი და თხოულობს მიეწეროს სათანადო დაწესებულებებს ფოთში, რომ ეს საქონელი გადაეცემულ იქნას მისი აგენტის განკარგულებაში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

(11 აპრილის სხდომა, ოქმი № 4). (დასასრული).

ე. პ. გეგეჭკორი წინადადებას იძლევა შეუდგენდნ პირველი საკითხის განხილვას, სახელდობრ სისხლის ღვრის შეწყვეტის საკითხს.

გ. ს. ლორთქიფანიძეს ამის შესახებ შემდეგი წინადადება შემოაქვს: ამიერ-კავკასიის რესპ. კონფერენციამ განიხილა რა ადერბეიჯანის და სომხეთის რესპ. შორის მომხდარი სამხედრო შეტაკებანი, დადგინა განაცხადის თავისი კატეგორიული გადაწყვეტილება სამხედრო მოქმედებათა შეჩერების შესახებ, მეორე-კონფერენციის დადგენილება ეცნობოს სათანადო რესპუბლიკათა მთავრობებს, მესამე-ამორჩეულ იქნას კომისია მომხდარ ამბების გამოსარკვევად.

ოგანჯანიანი: უერთდება რა წინა წინადადების პირველსა და მეორე მუხლს აცხადებს, რომ კონფერენციის ხმამაღალი განცხადება სისხლის ღვრის შეჩერების შესახებ, წარმოადგენს აუცილებლობას, რადგანაც მას შეუძლია სამხედრო მოქმედების შეჩერებაზე ვაგზავნა მოახდინოს. არ ეკამათება რა იგი არც მესამე მუხლს, ფიქრობს, რომ ამ კომისიის ხასიათი ეხლავე უნდა იყოს განსაზღვრული.

გ. გ. ავაფი: თავის მხრით უერთდება გ. ს. ლორთქიფანიძის წინადადებას რომ ომი სწარმოებს არა მარტო ადერბეიჯანში, არამედ მის საზღვრების გარეშეც. არსებულ შეტაკებებში ის უქცერის ომს, მუსულმანებსა და სომხებს შორის როგორც განსაზღვრულ ნაკითხა შორის. ამიტომ იგი მოითხოვს ამას ხელმოკლად: „შესწყდეს სამხედრო მოქმედება იქ, სადაც ამას ადგილი აქვს. იმის გამო რომ

კამათი შეტაკებების შესახებ ვაგზავნა, რადგანაც სომხეთის დელეგაცია შესაძლებლად არ სთვლის სიტყვა „მუსულმანების“ აღნიშვნას და წინადადებას იძლევა ამ სიტყვის „ადერბეიჯანლებით“ შეცვლის შესახებ და მეორეს მხრივ ადერბეიჯანის დელეგაცია ხაზს უსვამს რა აღინიშნოს, რომ სამხედრო მოქმედება სომხეთა და მუსულმანთა შორის როგორც რესპუბლიკის საზღვრებში, აგრეთვე ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშეც, მაგალითად თვით სომხეთშიც, ხდება ამიტომ ე. პ. გეგეჭკორი წინადადებას იძლევა 10 წუთით შესწყვიტონ სხდომა ამ საკითხში შეთანხმების გამოსანახათ. კონფერენცია ამას ღებულობს. 15-წუთის შემდეგ სხდომა იხსნება. ადერბეიჯანის დელეგაცია აცხადებს: რადგანაც შეტაკებანი ხდება არა მარტო ადერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომთა შორის არამედ საერთოდ სომხეთსა და მუსულმანთა შორის, ამიტომ ადერბეიჯანის გამოსაყოფათ ამა თუ იმ სხვა მოსულ მუსულმანთა სომხეთის მიმართ ჩადენილ მოქმედებებიდან, წინადადებას ვიძლევით აღინიშნოს რეზოლიუციაში, რომ აქ ლაპარაკია იმ შეტაკებებზე, რომელიც ხდება სომხეთსა და „მუსულმანთა“ შორის, ამიერ-კავკასიის ფარგლებში. ამას ვარდა ვეკილოვის აზრით, ადგილობრივ შეტაკებების დროს არ არის გარანტია, რომ ამ შეტაკების რაიონები შემცირდებოდნ-აუცილებელია ვარკვევით და სადაოთ აღინიშნოს, რომ ლაპარაკია ადერბეიჯანში ადგილობრივ მცხოვრებ სომხებზე და სომხეთში მცხოვრებ მუსულმანებზე. სომხეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა შეტაკებების ადგილების შესახებ აღინიშნოს: „შესწყდეს შეტაკება ყარაბახში, ყახახში, ნუხაში, ნახიჩევანში, ორდუბათში და საერთოდ იმ ადგილებში, სადაც ეს ადერბეიჯანლებსა და სომხებს შორის, ამიერ-კავკასიის ფარგლებში ხდება, მათის აზრით ეს მისაღებია, რადგანაც საქმე სახელმწ. ტერიტორიის შეცხება. სომხეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ მუსულმანთა სომხეთში და სომხების ადერბეიჯანში მდგომარეობის შესახებ კონფერენციის შეუძლია საერთო სურვილი გამოსთქვას, რომ ორივე სახელმწიფოს მიდამოებში მომავალში ეროვნულ ნიადაგზე არ იქნება დაშვებული არავითარი დევნა თუ რეზოლიუციაში საერთოდ მუსულმანთა შესახებ იქნა მოხსენებული, მაშინ სომხეთის მთავრობა ფიქრობს, რომ იგი მისცემს რა სიტყვას სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ, თურქისა და ქურთების თავდასხმის შემთხვევის დროს იძულებული იქნება წინააღმდეგობა არ გაუწიოს მათ და გზა ვაუხსნას, რაც ცხადია, სომხეთისათვის ყოველად მიუღებელია. ამის გარდა გ. ა. ავაფი. წინადადებას იძლევა დაუმატონ 1919 წლ. 23 ნოემბრის შეთანხმების შესახებ. კამათის შემდეგ გ. ს. ლორთქიფანიძის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია მიიღეს შემდეგი სახით: ადერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენცია ადგენს: 1, დაუყოვნებლივ შესწყვიტონ სისხლის მღვრელი შეტაკებანი, რომელიც ამ უამარ ხდება ყარაბახში, ნახიჩევანში, ორდუბათსა და ყარაბახში, ამასთანავე ერთოდ კონფერენცია დაეისებთ მოითხოვს, რომ სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილი ზომები, რომ ამ რესპუბლიკათა ფარგლებში მოსპობილ იქნას ყოველგვარი შესაძლებლობა სომხ და მუსულმან მცხოვრებთა შორის შეტაკებისა. 3. ეს დადგენილება სასწრაფოთ ეცნობოს ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობას სათანადო ზომების მისაღებათ. სხდომა იხურება დღის 4 საათზე. კონფერენციის შემდეგი სხდომა იქნება 1920 წ. აპრილის 23, საათის 11-თვის.

თავმჯდომარე გეგეჭკორი

12 აპრილის სხდომის ოქმი № 5.

დაესწრენ: ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან: ჰასან-ბეგ ავაფი, ოლმირდ ბეი კრიჩინსკი, ფარის ბეგ ვეკილოვი; სომხეთის რესპუბლიკიდან: ი. ოგანჯანიანი, ს. ა. ხაჩატურიანი, ს. გ. მაგიკონიანი, ტ. ა. ბეკზალიანი; საქართველოს რესპუბლიკიდან: ე. პ. გეგეჭკორი, გ. ს. ლორთქიფანიძე, გ. თ. მახარაძე.

თავმჯდომარეობს ს. გ. მაგიკონიანი. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა შეუდგენდნ მსჯელობას გ. ს. ლორთქიფანიძის ფორმულის შესახებ, რომელიც სამხედრო მოქმედების დაწყებამდე უფლებრივ „სტატუსის“ აღდგენას ეხება.

ა. ზ. კრიჩინსკი: ფიქრობს, რომ ეხლა ლაპარაკია არ შეიძლება 22 აგვისტოს შეთანხმების სრული აღდგენის შესახებ; შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ ფაქტობრივ მდგომარეობის აღდგენის შესახებ, რომელიც

შენიშვნა: 1) ამ მუხლის ხარჯად იგულისხმება: საქონლისათვის მარტი, ფანჯარისა და ლამპის შუშები, საქონლის დასაბამი თოკი, სამეურნეო იარაღები: ნიჩბები, ცულები, ცოცხები, კლიტები, რაზები და სხვა. 1920 წ. აპრილის 6-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

1919 წლის 23 ნოემბრის უკანასკნელ შეთანხმების დროს იყო და რომელ მდგომარეობაშიც იყო ორივე სახელმწიფო უკანასკნელ შეტაკებებამდე.

3. ბ. აგაფი: ჩვენ დადგენილებაში უნდა ვისარგებლოთ იმ აქტით, რომელიც უკანასკნელია, ე. ი. 23 ნოემბრის აქტით. რა თქმა უნდა ამაშივე შედის 22 აგვისტოს შეთანხმებაც ეროვნულ საბჭოსა და აგრეთვე სხვა აქტები და ამ გვარივე შეთანხმებანი, რომელნიც 23 ნოემბრამდის მოხდა.

4. ა. ბეგზადიანი: 23 ნოემბრის შეთანხმება არ ლაპარაკობს არავითარ უფლებრივ ნორმებზე, არამედ ადგენს 1) არ მიმართონ იარაღს და 2) უთანხმოების დროს საკითხების განხილვა არბიტაჟს მიანდონ. ეს შეთანხმება თითქმის თავის არსებობაში შეიცავს 22 აგვისტოს შეთანხმებას, რომელიც მოხდა ყარაბახის სომეხთა ეროვნულ საბჭოსა და ადგილობრივი მთავრობის შორის.

5. ბ. კრიშინაძე: 23 ნოემბრის აქტი ითვლება ეხლანდელი კონფერენციით. იქ მიღებული იყო იგივე დებულებანი, რომელიც ჩვენ უკვე ჩვენს დადგენილებაში შევიტინეთ. საჭიროა ჩვენ აღვადგინოთ ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც 23 ნოემბრის შეთანხმებამდე არსებობდა.

6. ბ. აგაფი: თუ ჩვენ შეუდგებით შემოსულ ფორმულების მე-3 ნაწილის განხილვას, ე. ი. კომისიების განხილვის საკითხს, ჩვენ ამით შეგვიძლია გადავწყვიტოთ დასმული საკითხები.

7. ბ. აგაფიანი: თუ უფლებრივ აღდგენაში ჩვენ ვივლისებთ იმას რისი ფაქტობრივად აღდგენა შეუძლებელია, მაშინ მე არ შემიძლია ამას შეუერთდე. ამბობენ, რომ 22 აგვისტოს შეთანხმება დაარღვია სომეხთა ეროვნულმა საბჭომ, მაგრამ 23 ნოემბრის შეთანხმება ხომ აღდგენილების მთავრობამ დაარღვია იმით, რომ არბიტაჟის მავიერ მან იარაღს მიმართა.

უკანასკნელ მისიონარულ დეკლარაცია

ყუბანის საგანგებო მისიამ და ყუბანის მთავრობის რწმუნებული საქართველოსა, აღდგენილების და სომხეთის მთავრობასთან აცხადებენ, რომ გარეშე პოლიტიკის საკითხებში შემდეგი ძირითადი დებულებით ხელმძღვანელობს: 1) ჩვენ ვდებულობთ მონაწილეობას სამოქალაქო ომში არა იმპერიალისტური მიზნით. 2) ჩვენ განვავრცობთ იმ თავისუფლებისა და დემოკრატიული წესწყობილების დაცვას, რომელიც ხალხის სურვილითაა შექმნილი ყუბანის მხარეში.

ამიტომ ჩვენ მზათ ვართ ყოველთვის, შევწყვიტოთ სამოქალაქო ომი, თუ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდება:

- ა. გაიყვანოს თავისი ჯარი ყუბანის მხარის მახრებიდან.
- ბ. იცნოს ყუბანის დამოუკიდებლობა.
- 2. ჩვენ ვცნობთ იმ სახელმწიფოთა დამოუადებლობას, რომლებიც აღმოცენდნენ რუსეთის ტერიტორიაზე და გამოაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა.
- 3. ჩვენ ვცნობთ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა შინაურ საქმეში არ ჩარევას და აგრეთვე საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებშიაც.
- 4. ამ სახელმწიფოთა ამა თუ იმ საფუძველზე შეკავშირების საკითხი დამოკიდებულია მათი ერთა თავისუფალ სურვილზე.

უცხოეთი

ვილსონის ნოტა.
ვილსონის მთავრობა მოკავშირეთადმი მიმართულ ნოტაში აღნიშნავს, რომ ფრანკია სტამბოლის ზონისა და ჩრდილო რაიონის გარდა, უნდა შეუერთდეს საბერძნეთს. აღრიანობოლი, კირკ-კილისა და მათი ახლო მდებარე ტერიტორიები რჩება ბულგარეთს. სამართლიანობა მოითხოვს ტრაპეზუნდი სომხეთს ეკუთვნოდეს.

ამერიკა და ახმალეთი.

ოსმალეთის საკითხის გამო შემდგარ კონფერენციის ამერიკის კომისიამ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ოსმალეთის საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს მიერ მანდატის მიღება მთელ ოტომანიის იმპერიაზე.

იტალია და საბჭოთა რუსეთი.

რომში კონვენტაციის დაბრუნდა ბ. კაპრინი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთის კოკორპირაციის დელეგატებთან იტალიის მთავრობის სახელით საბჭოთა რუსეთისა და იტალიის შორის ეკონომიურ და კომერციულ კავშირის დასადგენად. მოხდა შე-

თანხმება, რომლის ძალით იტალიელ მუშებს უფლება აქვთ თავსუფლად შევიდნენ საბჭოთა რუსეთში რკინის გზაზე საშუალო და საბჭოთა მთავრობა დიდხალ ხორბალს მიაწოდებს იტალიას.

იტალიის პარლამენტი.

იტალიის პარლამენტის განსნა, რომელიც იყო დანიშნული ოც აპრილისთვის გადადებულია სან-რემოს კონფერენციის გათავებამდე.

კონფერენცია სან-რემოში.

სან-რემოში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ პარიზიდან ჩამოვიდა ვენიზილოსი.

ინტერნაციონალური სახალხო უნივერსიტეტი.

ამ უკანასკნელათ ძალიან გახშირდა სახალხო უნივერსიტეტი ყველა მხარეში. დონიაში, რომელიც ითვლება სახალხო უნივერსიტეტის კლასიურ მხარეთ, მუშავდება პროექტი ინტერნაციონალურ უნივერსიტეტის დაარსების, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო სოლიდარობის იდეის მოთვლილი. პროექტის ავტორი არის კონვენტაციის მუშათა უნივერსიტეტის კურსების ხელმძღვანელი პ. მაინი. ამ უნივერსიტეტი უმთავრესად მიიღებდა უცხოელებს, რისთვისაც უნივერსიტეტი გაავრცელებს არა მარტო ცოდნას, არამედ ხელს შეუწყობს სხვა და სხვა ნაკიების შორის კეთილგანწყობილებას.

პროექტით სწავლა უნდა იქნეს 1 წლიური. ლიტერატურის ისტორიასთან ერთად დიდი ყურადღება ექნება მიქცეული სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს. იმედოვნებენ, რომ სოციალურ მეცნიერებათა საუკეთესო მკვლევანი და სხვა და სხვა ერთა მეცნიერნი გამოეხატებიან უნივერსიტეტის მოწოდებას. კურსები ერთ შენობაში იქნება, მსმენელები ჯგუფ-ჯგუფათ 10—12 კაცი. თითო ჯგუფს ეყოლება თავისი მამასახლისი. ფიზიკურ მუშაობისთვის განსაკუთრებით მებოსტნეობისა და მეხალხობისთვის გაცილებით მეტი დრო იქნება ვიდრე აქამდე.

იაპონია და საბჭოთა რუსეთი.

ნიუ-ორკიდან დეკემბრით იტყობინებიან, რომ ციმბირის ევაკუაციის საკითხში, იაპონიამ გადაწყვიტა იმეჭმელოს შეერთებულ შტატებთან შეთანხმებით.

ვაშინგტონში მიღებულ ცნობებით ბალშევიკების აღმოსავლეთისკენ სწრაფი წინსვლა, იაპონიაში აღუვებებს იწყებს. იაპონიაში გავრცელებულია იდეა საბჭოთა რუსეთისა და იაპონიის შორის სახელმწიფო-ბუფერის შექმნისა, ამ იდეის განხორციელება იქნება აუცილებელი პირობა რუსეთთან დამოკიდებულების განახლებისა.

ოფიციალურ წრეებში ამტკიცებენ, რომ თვით ბოლშევიკები არ არიან წინააღმდეგი შექმნან ციმბირში ავტონომიური სახელმწიფო დედა ქალაქით ირკუტსკით.

დეკემბერი

(საქართველო, დეკემბრითა სააგენტო)

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი, სახელმწიფო ცნობა. 21 აპრ. დასავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში მდ. ბერეზინის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა ნაწილებმა მტრის გამაგრებული პოზიცია გაარღვიეს. რეჩიცია-მოზირის რკ. გზის სამხრეთით ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობენ. ოგრუჩის რაიონში ოგრუჩის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ნოვოგრადა-ვოლინისა, ბერდიჩევისა და პოდოლიის კამენცის რაიონში ზოგან შეტაკებები და ზოგან მხვერავთა მოქმედებაა.

სამხრეთის ფრონტი. ყირიმის მხარეზე პეტროპოლის რაიონში ჩვენ ძირს ჩამოვადებეთ მტრის თვითმფრინავი, რომელიც ჩვენ პოზიციებს ზევიდან ყუმბარებს უშენდნ. სივარის რაიონში ჩვენ უკუვადებთ მტრის შემოტევასა და სალნიკოვოს ჩრდილოეთ-დასავლეთით. კავკასიის ფრონტი. ტუაპსის რაიონში მონაწილეობდა ჩვენ პოზიციებს რამდენიმე გემიდან ყუმბარებს უშენს. პეტროვგრადის დივიზიის არტილერია შეუდგა უცხენო გლეხთა და წითელ არმიელების ოჯახთა ყანების დახვნას.

უმაღლეს საბჭოში.

სან-რემოში უმაღლესი საბჭო თათბირობდა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ოსმალეთის დელეგატებს პარიზში 10 მაისისთვის გაიწვევენ. დღის სხდომაზე საბჭო იხილავდა პრეზიდენტ ვილსონის ნოტის პასუხს ოსმალეთის საკითხის შესახებ, ითათბირეს აგრეთვე კურდისტანის საკითხზე.

ჩამომავლობითი გადასახადის გადაღების საკითხის განხილვის დროს, საბჭომ უარყო სოციალისტების პროექტი, ნაიდერმევი კონტინენტის ნაწილი სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

სან-რემოდან იუწყებიან, რომ უმაღლესი საბჭომ მოიწონა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების ფინანსიური პირობები. შემდეგ საბჭომ განიხილა საკითხები სომხეთის ტერიტორიალური საზღვრებისა და ერთა ლიგის ნოტის გამო მანდატის შესახებ. საბჭომ დაიწყო განხილვა ბათუმის საკითხისა და ხალხთა ლიგის დამოკიდებულების ოსმალეთის ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვისადმი. მეორე სხდომა დღისით შესდგა. სხდომის დაესწრნენ ნიტტი, შალია, მილიერანი, ლორდ კერზონი, ზატსუი, ვენიზულოსი, აგრეთვე მარშ. ფოში, ამირბ. ბიუტტი, მარშ. უელსონი, გენერალი ბალოლი, აღმარალი აქტონი, ოსტინი, გენერალი ვეიგანი, გენერალი საკვილესტი, გენერალი კავალერი და პოლკოვნიკი ტაულარისი. საბჭომ განიხილა ზოგიერთი სახელმწიფო საკითხი, რომელნიც ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების აღსრულებას შეეხება, მოუსმინა ვენიზულოსს და ბოლოს განავრცო სომხეთის საკითხის განხილვა. „ფიგარო“ განმარტავს კონფერენციის შედეგებს, სწერს: „იმედით მოუცადოთ ამ მოლაპარაკების შედეგებს—დედ ბერლინი ნუ იქნება გახარებული ნაადრევად.“

ჯერ კიდევ არ დამდგარა გერმანიისთვის საათი, რომ მან ანტანტის კაპიტულიაციის აღნიშნოსო.

„პტი უფრანლის“ მიერ მიღებულ ლონდონის ინფორმაციის თანახმად, საზღვაო მინისტრის ამხანაგმა ბინიონმა, რომელიც ორშაბათს საღამოს ლონდონში მივიდა, ინგლისის საზღვაო-სავაჭრო კონტროლიორ სერ ჟოზეფ მეკლეიემთან გერმანიის ტონაჟის შესახებ მოლაპარაკება განაახლა. ამ დრომდე ამ საკითხის შესახებ არავითარი საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

გერმანიის განიარაღება.

სამშაბათს კლემანსო მარსელში მოვიდა, საიდანაც პარიზს გაემგზავრა.

სავაჭრო საქმეთა კომისია შეიკრიბა ბარტუს თავმჯდომარეობით. ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: საერთო ზავის ინტერესებისა და ყველა ხალხთა შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების ინტერესებისთვის გადავწყვიტეთ მივალწიოთ გერმანიის სრულ განიარაღებას; პალატა მოუწოდებს მთავრობას მოითხოვოს, რომ პირობები განიარაღების შესახებ, რომელნიც ვერსალის ხელშეკრულებაში აღნიშნული, გერმანიამ სისწორით აღასრულოს.

კონვენტაციიდან მოსული ცნობით, საბჭოთა მთავრობის დროებითმა წარმომადგენელმა ლიტვინოვმა სამშაბათს ხელი მოაწერა საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებთან დადებულ შეთანხმებას სახელმწიფო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

ნოტის ტექსტი. ნოტის ტექსტი, რომელიც მოკავშირეებმა გადასცეს გერმანიის სავაჭრო საქმეთა მინისტრის ამხანაგს, შემდეგია: იმ გავრცელებული ხმების გამო, რომ შესაძლებელია ახალი სახელმწიფო გადატრიალება, ბელგიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობამ, ყოველგვარ ანტი-დემოკრატიული ცდის საწინააღმდეგო მიზნით, აღტურებს თავის რწმუნებულები, განუცხადონ მის მაღალ კეთილშობილებას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ დასახლებული მთავრობანი არ სთვლიან შესაძლებლად დაუშვან გერმანიის ისეთი მთავრობა, რომელიც არ ფიქრობს ხელშეკრულების ლოიალურად აღსრულებას, და რომ სახელმწიფოში ყოველგვარ, რევოლუციონური მოძრაობის განახლებას და არუფლებისაკენ დაბრუნებას შეიძლება ექნეს ერთად ერთი შედეგი-შეჩერება ეკონომიური აღორძინებისა და გერმანიისადმი სურსათის მოწოდებისა. მოკავშირეები წინასწარ აფრთხილებენ გერმანიის მთავრობას ამ გვარი ზომების შესახებ.

ქალაქის თვითმმართველო

გაუი.
ექიმების არჩევა.
ქალაქის ექიმების საერთო კრებაზე 22 აპრილს საუბნო ექიმებათ არჩეულ იქნენ კონტრატი კოჩინაშვილი და მიხ. ტყეშელაძე.
გადამღები ავთომეოფობანი.
მარტისთვის განმავლობაში ქალაქში ავთ გამხდარა: პარტახტანი სახადით—62, მუცლის სახადით—5, შექცევითი სახადით—14, წითელათი—16, ქუნთრუშათი—1, დიფტე-

რიტი—10, დიზენტერიით—2, წითელი ქარით—3, ყბაყურათი—1 და ხუნავით 1.

საპანის დამზადება

ქალაქმა სასაკალოზე მოაწყო საპანის წარმოება, რომელიც უკვე დაიწყო. ფუთი საპანი, თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა იყიდება 1,400 მანეთათ.

მ რ ო ბ ა

ერობათა კავშირში.
ერობათა კავშირის კომიტეტმა შეამდგომლობა აღძრა, რომ ერობებს და ქალაქის თვითმმართველობებს გადაეცეთ სამხედრო საავადმყოფოები, თავის ინვენტარით და კრედიტით. ამ მიზნით დაარსებული იქნება საგანგებო კომისია, შანაგან საქმეთა სამინისტროსგან, ერობათა და ქალაქების კავშირთა წარმომადგენლებისგან იმის გამოასრკვევად, თუ რომელი საავადმყოფო გადაეცეს ცალკე ერობას ან ქალაქს და რომელი საერთოდ ერობას და ქალაქს. იმ შემთხვევაში, როდესაც საავადმყოფო მიღებულ იქნება საერთოდ ერობის და ქალაქის მიერ, პასუხისგება მთავრობის წინაშე, ან ერობამ, ან ქალაქმა უნდა იკისროს და საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გასაძლოად შექმნილ უნდა იყოს საოჯახო კომისია სამხედრო უწყების, ერობის და ქალაქის წარმომადგენლებისგან.

ს. ხელმწიფო გ ნის ხარჯთ-ალისხვა

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველმა იას. ლორთქიფანიძემ გაუგზავნა სახელმწიფო კონტროლიორს დასკვნისათვის პროექტი ბანკის ხარჯთ-ალისხვისა 1920 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრამდე. ხარჯთ-ალისხვა უკვე განხილულია და მიღებული ბანკის საბჭოს მიერ. პროექტით ყველა მოსამსახურეთა რიცხვი განზარხულია 95 და მათი თვითრი ჯამაგირი 601 ათ. მან., მოსამსახურეებს ჯამაგირები დანიშნული აქვთ კერძო საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების საშუალო ჯამაგირების მიხედვით, მხოლოდ დაბალ მოსამსახურეებს დანიშნული აქვთ ამ საშუალო ჯამაგირებზე ცოტა მეტი, უფროს მოსამსახურეებს ცოტათი ნაკლები. სხვა სამეურნეო ხარჯები გამოანგარიშებულია 3.065 ათ. მან. მთელი ხარჯთ-ალისხვა გამოიხატება 7.873 ათ. მანეთში.

„უკუშავართს დღეები“

წინა წლების მიხედვით ქალაქის შრომის ბირჟა მისიის დამლევი მართავს „უკუშავართს დღეებს“. წასულ წლის მიხედვით პროგრამა შესდგება მთელი რიგი საღამოებისგან, წარმოდგენებისგან, აუქციონებისგან, სეირნობისგან, ყულაბებით ფულის შეკრებისგან და სხ. ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნება საუკეთესო ძალები მსახიობთა და მწერლებთა და აგრეთვე ქალაქის ყველა ნაციონალური საბჭოები.

შეკრებილი ფული მოხმარდება შრომის ბირჟასთან არსებულ უფასო მუშათა საჩაიის და აგრეთვე გაფართოებას შრომის ბირჟის დაწესებულებებს და ვახსნას ახლებისას.

შრომის ბირჟა მიმართავს ყველა ნაციონალურ საბჭოებს და ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ მათ გაუწიონ დახმარება მის დღის ორგანიზაციაში და გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა უმუშევართა დღის ორგანიზაციაში, რომლის კრებაც შესდგება 25 აპრილს დღის 11 საათზე შრომის ბირჟის დარბაზში (მადათოვის ქუჩა, სახლი № 11, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, უწინ სასტუმრო „ლონდონი“) ყოველწლიური ცნობებისთვის შეგიძლიათ. მიმართოთ შრომის ბირჟის გამგეს ყოველდღე დღის 9—11 საათამდე, ტელეფონით 8—12.

სხვა და სხვა

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის პრეზიდიუმში თავმჯდომარედ არჩეულია ივ. გომართელი, მის ამხანაგად პ. საყვარელიძე, მდივნად—ლ. ნათაძე. მცირე კომისიაში: პ. ველეიშვილი, ლ. ნათაძე და ივ. გომართელი.
სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის კათედრაზე მიიწვიეს ცნობილი აღმოსავლეთის ენების მკვლევარი მიხაკო წერეთელი.
შაბათს, 24 აპრილს, ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართება მომღერალ ქალის ფა-

ვლენიშვილის კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას იღებს ივ. საბაჯიშვილი.

ადრებეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური მისია საქართველოში, საკონსულო განყოფილება იტყობინება, რომ ვისაც სურს ადრებეიჯანის რესპუბლიკაში შესვლის ნებართვა აიღოს იმას შეუძლია მიიღოს ნებართვა საკონსულო განყოფილებაში შემდეგი მოწოდებების წარდგენით: 1) თხოვნა, სადაც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მოხვედრილი სარეზიდენტო ან რა საქმისთვის, 2) პიროვნების მოწმობა, ფოტოგრაფიული სურათით, 3) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

გუშინ ტფილისიდან საფრანგეთში გაემგზავრა საფრანგეთის სამხედრო მისია ლეიტენანტ გიუჟის მეთაურობით.

ამა პირველ აპრილიდან გაიხსნა საქალაქთაშორისო ტელეფონის კავშირი შემდეგ პუნქტების შორის: 1. ქუთაისი-ონი, ქუთაისი-ზონი და ქუთაისი-სამტრედიო. 2. ცხინვალი-გორი, მეჯვრისხევი-გორი, ახალქალაქი (გორის მაზრა) ქვემო ქალა გორი. მოლაპარაკება შეიძლება როგორც სხეულ პუნქტების შორის ისე თვითველ დასახელებულ ადგილებიდან ტფილისთან (გარდა სამტრედიისა) ქუთაისისა და გორის ცენტრალურ სადგურების საშუალებით.

ქართველ მომღერალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა იწვევს საზოგადო კავშირის წევრთა კრებას 25 აპრილს ამა წ. კავშირის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა, № 8. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) საორგანიზაციო კითხვები; 2) წევრთა არჩევა გამგეობაში; 3) საერთოდ მუსიკალური და საოპერო საქმის დაყენება საქართველოში. ვინაიდან კითხვები ფრიალ საყურადღებო, ვსთხოვთ ყველა კავშირის წევრებს გამოცხადდნენ აღნიშნულ დროს.

მილიციის უფროსის დროებით მოვალეობის აღმასრულებელმა მიქელაძემ პირველ უბნის კომისიის ლისინოვის და მის თანაშემწე აბულაძის და რამოდენიმე მილიციონერების მხურვალე და აქტიური მონაწილეობით აღმოაჩინეს ორი მანქანა, რომელზედაც იმეჭობოდა ბონები როგორც ქართული, ისე აზერბეიჯანის და სომხეთის, ერთი იქნა აღმოჩენილი გორის მაზრაში სოფ. წვერაში მეორე კი ქ. ტფილისში. დამნაშავენი თითქმის ყველანი დაკავებულა.

დღეს სახ. სახლში არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლაქია“ და „არიგ-დარია“, დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

განათლების სამინისტრომ პასუხის გებაში მისცა „ქართულ მშენებელთა ამხანაგობის“ სტამბის გამეფ. რადგან ის არ ასრულებდა დამფუძნებელ კრების კანონს ბეჭდვითი ნაწარმოების ნიმუშების განათლების სამინისტროში წარდგენის შესახებ.

დღეს ჩვენ გაზეთს თან ახლავს დამატება მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის განცხადება.

ჩინის გზაზე

ტფილისიდან ფოთში გაემგზავრა სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე. სამხედრო კომისია კი გენ. კვინიკაძის მეთაურობით ბაქოში.

მიწის ძვრის შემდეგ სადგურებზე: გრაკალი, უფლისციხე, გორი და სკრა შეწყვეტილი იყო კომერციული ოპერაციები. ეხლა აშენებულია დროებითი საწყობები საქონლის შესანახათ და აღნიშნულ სადგურებზე დაწყებულია კომერციული ოპერაციები.

ჩრდილოეთ კავკასიიდან მცხეთაში ჩამოსული ლტოლვილი პოლკოვ. მუსულინსკი, სამი ოფიცერთ, სამი ქალით და ჯარისკაცებით ფოთში გაიგზავნენ.

22 აპრილს სადგ. ბორჯომიდან 6 ვაგონი ლტოლვილი მუსულმანები გაიგზავნა ბაქოში.

მილიციის

ფრიდრიხ ვუსტავის ძე ვეტცელმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოჰპარეს ძვირფასი წიგნები და ფულად 5000 მან. სულ 300,000 მან. ეკვი ჰქონდა თავის მსახურზე, ნატალია შეპელევაზე, რომელმაც დამალვა მოასწრო. მილიციის უფროსმა აგენტმა ცინცაძემ შეიპყრა შეპელევა, რომელსაც აღმოაჩინა ნაწილი მოპოვებული ნივთებისა. მან განაცხადა, რომ ის მის ამხანაგ ნატალია თუმანიშვილთან ერთად ყიდდა მოპოვებული ნივთებს. შეპელევა და თუმანიშვილი ორივე დაპატიმრებული არიან. საქმე გამოსაძიებლათ გადაეცა.

14 აპრილს ვაქთა მეორე გიმნაზიის ეკლესიიდან მოიპარეს ნივთები, ღირებული 60,000 მან. სისხლ. სამ. მილიციამ აღმოაჩინა, რომ ნივთები მოუპარავს დარაჯს ლაზარეს და მის ამხანაგს ნარიშანოს. ისინი დაპატიმრებული არიან.

გიულეთანი საქარ. შიგ. მხსარკმარის ტფილისი, 21 აპრილი 1920 წ.

ნაშუად. 1 ხაათ. ჰაერის წოლა მმ.: 721.8; ჰაერის ტემპერატ.: 17.3; შეფარდებ. სინოტ. %: 51; მოღრუბლ.: 10; ქარი: NW 11; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 30.0; ბუნებრივ.: 26.9.

საღამ. 9 ხაათ. ჰაერის წოლა მმ.: 723.5; ჰაერის ტემპერ.: 14.3; შეფარდებ. სინოტ. %: 58; მოღრუბლ.: 9; ქარი: N 6; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 14.8; —ბუნებრივ.: 12.4 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 21 აპრილი: 14.7; ნორმალი: 11.9; მაქსიმალი: 12.0; მინიმალი: 10.2.

დღე. 7 ხაათ. 21 აპრილი. ჰაერის წოლა მმ.: 724.8; ჰაერის ტემპერ. 10.5; შეფარდებ. სინოტ. %: 79; მოღრუბლ.: 9; ქარი: 0; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 13.5; ბუნებრივ.: 14.1; ატმოსფერის ნალექი: მმ.: — ზენიშენა: —

დღე. 7 ხაათ., 21 აპრილი 1920 წ.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მიწის ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი უღვა.
ტფილ. 1)	12.5	10	3	N 4	—
ბორჯომი 2)	7.4	6	3	—	—
ფოთი 3)	11.4	10	3	0	0
სოხუმი 4)	10.9	10	2	0	0
გაგრი 5)	11.3	11	4	—	0

შენიშვნა: 1) წვიმა დილ., დღ.; 2) წვიმა დღ., საღამ.; 3) წვიმა დილ., დღ., საღამ.; 4) წვიმა დღით; 5) წვიმა დილ. საღამ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა ნ ი

თავმჯდომარე ტფილისის ხალქო სასამართლოსი,

თანხმად ნოტარიალური დებულებისა დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთ, მსურველთ დაიქირონ ქ. თელავის უმცროს ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არა აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ა. წ. 26 აპრილს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე, თანხმად რესპუბლიკის 1918 წ. 1 ოქტომბრის კანონის, მოხვედრითათვის საქირთა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულო იმართათვის, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 25 მარტი 1920 წ. 0339 1—1

ესტატე ივანეს ძე გრიგოლავე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი ხონის საოსტატო სემინარიიდან მოცემული, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 753 3—1

დაიკარგა პასპორტი ერმილე ლევანის ძე ქარსელაძის სახელზე, მიცემული ლეჩხუმის მაზრის ლაილაშის კომისარიატიდან და აგრეთვე პირადობის მოწმობა, გაუქმებულია ჩაითვალოს. 739 3—1

დაიკარგა კერძო ლომბარდის ბილეთი № 87783—50 მანეთის. გაუქმებულია ჩაითვალოს. (უფ). 3—1

დაიკარგა სახლის წიგნი არკადი ნაზარის ძე მილოვისა შ.კომ. დავითის შესახებ № 6. გაუქმებულია ჩაითვალოს. 748 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოწმობა № 32 მოცემული მესამე კომისარიატიდან 16 მარტს, ხოლო იესეს ძე თოდრიას სახელზე, რომელსაც ვთვლი დღეიდან გაუქმებულია. 750 3—1

სილვესტრ ვასილის ძე კვაიქაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საბინაო დავთარი მისი სახლის, რომელიც მდებარეობს ყიფიანის ქ. № 13. 752 3—1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა პეტრეს ასული კუზნეცოვის სახელზე, მიღებული ტფ. სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 743 3—1

დაიკარგა პასპორტი სალომე დიმიტრის ასული ჩერქეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან. პასპორტში მოხსენებული არიან შვილები ელენე და ნინო. გაუქმებულია ჩაითვალოს. 744 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ მიკიტას ძე გევიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. არსენალიდან და საქ. სოც. დემ. პარტიის წევრობის მოწმობა. გაუქმებულია ჩაითვალოს. 703 3—3

სიმონ პავლეს ძე გონჯილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოსეს ხითაროვის საგან მიწის ყიდვის მოწმობა 1918 წ. ვინტოვისა და ნაგანის ტარების ნებართვა, მიღებული თიონეთის მაზრის ტყის გამგისაგან და ტყის მკველის მოწმობა. გაუქმებულია ჩაითვალოს. 728 3—2

დაიკარგა რვა სულის პასპორტი № 4501 მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან არტემ რამაზის ძე ოქროსცვარიძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 727 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველ. თანხმად ოლთა ლუარსაბის ასული თევდორაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს ქუთაისის სანაპირო სასწავლებლის დასრულების მოწმობა, რომელიც მას ჰქონია მიღებული 1913 წელს სექტემბერში სთხოვს მკვენელს აღნიშნული მოწმობა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 391 3—3

დაკარგულია პასპორტი ჰიკ ჩარჩინაძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 699 3—3

დაკარგულია აღმინისტრაციის ორი მოწმობა სავ. სახ. „მ. კოვიანოვის“ საქმ. შესახებ. ერთი მიღებული 1910 წ. ოქტომბრ. 25-ს № 42, 456 მან. მიხეილ ბეგრაძის ძე კოვიანოვის სახელზე და მეორე № 43 1894 მან. ლუბა სტეფანეს ასულის კოვიანოვის მემკვიდრის მიხეილ ბეგრაძის ძე კოვიანოვის სახელზე. მოწმობები გაუქმებულია ჩაითვალოს. 737 3—2

დაკარგულია საბარგო კვიტანციები №№ 28173, 28178 და 28188 და ანგარიშები ფართლისა და სავალანტერენო საქონლის ბავდენ სერგის ძე ოჯაჯანოვის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 73 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან, მეტრიკული მოწმობა და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 117-ალექსი ესტატეს ძე ციციშვილის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 718 3—3

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი № 277 ანა მიხეილის ასულ ტენოს სახელზე, მიცემული ესტონეთის წარმომადგენლისაგან საქართველოში. გაუქმებულია ჩაითვალოს. 735 3—2

ალბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ვარდაცვალებულს დაბა თეთრი წყაროში მცხვ. მიხეილ ფეოდორის ძე ბატურინის მემკვიდრეთ, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები განსვენებულის ქონებაზე მე-10 ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 393 3—3

ტფილისის ქალაქის საკრალისუ საზოგადოების გაგზავნა

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ
კვირას, მისის 2-ს, დილის 10 საათ., საზოგადოების ბინაზე, პუშკინის ქ., საქ. სახლი, წესდების მე-32 § ძალით მოხდება საზოგადოების 5 პროც. ობლიგაციების მე-76 კირაჟი და 4 1/2 პროც. ობლიგაციების მე-43 ტირაჟი. 1—1

